*ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი*

<table>
<tr><td>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება</td><td colspan="3">სამუსიკო შემსრულებლობა<br>● ფორტეპიანო; ● აკადემიური სიმღერა; ●საორკესტრო.</td></tr>
<tr><td>განათლების საფეხური</td><td colspan="3">უმაღლესი განათლების მეორე საფეხური/მაგისტრატურა</td></tr>
<tr><td>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</td><td colspan="3">სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი MASTER OF MUSICAL ARTS</td></tr>
<tr><td>პროგრამის მოცულობა ECTS</td><td colspan="3">120 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ. ძირითადი სპეციალობის საგნები – 115 კრედიტი;<br>საფაკულტეტო არჩევითი საგნები – 5 კრედიტი; სწავლება 4 სემესტრი - 1 სემესტრი - 15 სასწავლო, 4 სასესიო კვირა</td></tr>
<tr><td>სწავლების ენა</td><td colspan="3">ქართული</td></tr>
<tr><td>სწავლის ღირებულება</td><td colspan="3">1500 ლარი</td></tr>
<tr><td>მისაღები კონტინგენტი</td><td colspan="3">საგანმანთლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება მუსიკის ფაკულტეტისა და ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კონტინგენტის მიხედვით.</td></tr>
<tr><td rowspan="7">პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</td><td colspan="3">სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა - სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. ზემოაღნიშნული მაგისტრანტობის კანდიდატები აბარებენ მხოლოდ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას სპეციალობაში (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, საორკესტრო) (შეფასება 0-100 ქულა) და გამოცდას ინგლისურ ენაში B2 დონე.</td></tr>
<tr><td colspan="3">შემოქმედებითი ტურის შეფასება</td></tr>
<tr><td>№</td><td>კრიტერიუმები</td><td>შენიშვნა</td></tr>
<tr><td>1</td><td>სტილის და ფორმის შეგრძნება</td><td rowspan="4">თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ცალკე შეფასება არ კეთდება</td></tr>
<tr><td>2</td><td>ტექნიკური სრულყოფილება</td></tr>
<tr><td>3</td><td>მხატვრული სახის გააზრება</td></tr>
<tr><td>4</td><td>სცენიურობა და არტისტიზმი</td></tr>
<tr><td>პროგრამის მიზანი</td><td colspan="3">პროგრამის მიზანია თანამედროვე გარემოზე ორიენტირებული სამუსიკო ხელოვნების მაგისტრის ხარისხის სოლისტისა და მუსიკოს-შემსრულებლის მომზადება;<br>საშემსრულებლო რეპერტუარის და შემოქმედებითი მსოფლმხედველობის გაფართოება.<br>თანამედროვე პედაგოგიკასა და საშემსრულებლო ხელოვნებაში დამკვიდრებული ტენდენციების შესწავლა და მათი პრაქტიკაში გამოყენება.</td></tr>
<tr><td colspan="4">სწავლის შედეგი</td></tr>
<tr><td>ცოდნა და გაცნობიერება</td><td colspan="3">1. ავლენს, შესაბამისი სპეციალობის, მუსიკის სხვადასხვა ჟანრის, სტილისა და ეპოქის, კულტურული თავისებურებებისა და ტრადიციების (საშემსრულებლო/თეორიული), მუსიკის გამომსახველობითი საშუალებების სიღრმისეულ ცოდნას;<br>2. ახდენს სამუსიკო შემსრულებლობასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების/პედაგოგიკის ცოდნის დემონსტრირებას.</td></tr>
<tr><td>უნარი</td><td colspan="3">3. მაღალ პროფესიულ დონეზე ამზადებს/ასრულებს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის საკონცერტო პროგრამას;<br>4. შემოქმედებითი მიდგომით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ან/და საკუთარი კომპეტენციების</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| | ფარგლებში დამოუკიდებლად ახდენს შემოქმედებითი იდეის/მასალის/კონცეფციების გენერირებას/ინტერპრეტირებასა და რეალიზებას;<br>5. აქვს საკუთარი ცოდნის უცნობ და ცვალებად გარმოში ინტეგრირების უნარი. |
| *პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა* | 6. საკუთარი და სხვისი შემოქმედების შეფასებისას იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს;<br>7. ადაპტირდება ახალ და ცვალებად გარემოში;<br>8. საქმიანობისას ავლენს პასუხისმგებლობას და გუნდური მუშაობის უნარს. |
| *დასაქმების სფერო* | შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კურსდამთავრებული თავის რეალიზაციას შეძლებს:<br>***ფორტეპიანო:*** საკონცერტო ესტრადაზე-სოლისტი, ანსამბლის წევრი, კონცერტმაისტერი. პედაგოგი სამუსიკო სკოლაში.<br>***აკადემიური სიმღერა:*** საოპერო თეატრებსა და საოპერო სტუდიაში სოლისტი, გუნდის მომღერლი, პედაგოგი სამუსიკო სკოლაში.<br>***საორკესტრო:*** საკონცერტო ესტრადაზე სოლისტი, კამერული ანსამბლის წევრი, სიმფონიური ორკესტრის მსახიობი, პედაგოგი სამუსიკო სკოლაში. |
| *სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა* | სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა).<br>სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.<br>დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).<br>სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ–ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:<br>დადებითი შეფასება:<br>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;<br>ორი სახის უარყოფითი შეფასება:<br>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>სტუდენტი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:<br>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;<br>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.<br>● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.<br>● შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. |
| | სპეციალობა, საკონცერტმაისტერო კლასი, კამერული ანსამბლის კლასი, საოპერო სტუდია, კამერული სიმღერა, საორკესტრო |

<table>
<tr><td></td><td colspan="3">კლასი, საკვარტეტო კლასი, სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი, სამაგისტრო ნაშრომი - არის არასალექციო მეცადინეობის ფორმები. სასწავლო კომპონენტები, რომელებიც ორიენტირებულია შემოქმედებითი პროექტების განხორციელებაზე და მიმდინარეობს ინდივიდუალური გეგმით. თავისუფალი შემოქმედებითი პროექტი გულისხმობს სტუდენტთა ერთობლივ/დამოუკიდებელ შემოქმედებით მუშაობას, რომელიც შეფასდება კომისიის მიერ.<br>შემოქმედებითი სპეციფიკიდან გამომდინარე, მოცემული კურსების წინასწარი, ზუსტი სტაბილური დაგეგმარება არ ხორციელდება, რადგან ის სტუდენტების ინდივიდუალურ მონაცემებსა და შემოქმედებით პოტენციალზეა ორიენტირებული. წინამდებარე კურსები ემსახურება სტუდენტის შემოქმედებითი უნარების უწყვეტ ზრდას, სპეციფიკური შემოქმედებით-საშემსრულებლო კომპეტენციების გამომუშავებას, რაც იძლევა საბოლოო შედეგზე გასვლის საშუალებას. აქედან გამომდინარე, მოცემული სასწავლო მოდულის შედეგების ეტაპობრივი დანაწილება არ ხორციელდება და ისინი ორიენტირებულია საბოლოო, ფინალურ შედეგზე. პროგრამული მოთხოვნები გაწერილია თითოეული კომპონენტის მინიმალურ სტანდარტში, ან სპეციალურ სილაბუსში.</td></tr>
<tr><td rowspan="16">სამაგისტრო ნაშრომი</td><td colspan="3">სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურები გაწერილია ბხუ-ს „სასაწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი“ -ში.</td></tr>
<tr><td colspan="3">სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სქემა</td></tr>
<tr><td>№</td><td>კრიტერიუმები</td><td>მაქსიმალური ქულა</td></tr>
<tr><td colspan="3">შემოქმედებითი პროექტი 0- 100 ქულა</td></tr>
<tr><td>1</td><td>სტილის და ფორმის შეგრძნება</td><td>30</td></tr>
<tr><td>2</td><td>ტექნიკური სრულყოფილება</td><td>25</td></tr>
<tr><td>3</td><td>მხატვრული სახის გააზრება</td><td>25</td></tr>
<tr><td>4</td><td>სცენიურობა და არტისტიზმი</td><td>20</td></tr>
<tr><td colspan="3">სამაგისტრო ნაშრომი 0- 100 ქულა</td></tr>
<tr><td>1</td><td>ნაშრომის თემის და მიზნის გამოკვეთა</td><td>15</td></tr>
<tr><td>2</td><td>თემის მიზნის, აქტუალობის, ამოცანების და მეთოდოლოგიის გამოკვეთა და განხილვა</td><td>20</td></tr>
<tr><td>3</td><td>საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი</td><td>20</td></tr>
<tr><td>4</td><td>ნაშრომის პრაქტიკული ღირებულების განსაზღვრა</td><td>20</td></tr>
<tr><td>5</td><td>გამოყენებული ლიტერატურის ფლობა</td><td>15</td></tr>
<tr><td>6</td><td>ნაშრომის პარამეტრების დაცვა</td><td>10</td></tr>
<tr><td colspan="3"></td></tr>
<tr><td>სწავლებისა და სწავლის მეთოდები.</td><td colspan="3">ინდივიდუალური მეცადინეობა, ახსნა–განმარტებითი მეთოდი; წერითი; დემონსტრირების მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პრეზენტაცია.<br>სტუდენტთა აქტივობები: ინდივიდუალური მეცადინეობებზე, რეპეტიეციებზე, ლექციაზე დასწრება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობა; რეფერატის, პრეზენტაციის მომზადება; დამოუკიდებელი მეცადინეობა; პედაგოგიურ სიტუაციებზე მუშაობა, წყაროზე და ტექსტებზე დამოუკიდებელი მუშაობა; ინტერნეტ–რესურსების დამოუკიდებლად მოძიება; გამოცდების მომზადება-ჩაბარება;<br>● სალექციო და ჯგუფში მუშაობის საათების განაწილება მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.<br>● საკონსულტაციო საათები განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად.</td></tr>
<tr><td>სწავლის გაგრძელების საშუალება</td><td colspan="3">მაგისტრს სწავლა შეუძლია გააგრძელოს მესამე საფეხურზე დოქტორანტურაში.</td></tr>
</table>

| *სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა* | | |
|---|---|---|
| *აკადემიური პერსონალი* | | |
| *სახელი, გვარი* | *სტატუსი* | *საგანი* |
| ლალი ჭელიძე | პროფესორი | სპეციალობა (ფორტეპიანო) |
| თამაზ ცერიაშვილი | პროფესორი | აკადემიური სიმღერის კლასი, საოპერო სტუდია |
| მარიამ ჯახუტაშვილი | პროფესორი | აკადემიური სიმღერის კლასი, კამერული სიმღერა |
| ნოდარ ვარშანიძე | პროფესორი | აკადემიური სიმღერის კლასი, კამერული სიმღერა |
| ხათუნა მანაგაძე | პროფესორი | XX ს-ის მუსიკის ისტორია, კვლევისა და ანალიტიკური აზროვნების საფუძვლები |
| მამუკა ალაფიშვილი | ასოცირებული პროფესორი | საორკესტრო კლასი, თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია (საორკ.) |
| ნათელა ხომერიკი | ასოცირებული პროფესორი | აკადემიური სიმღერის კლასი, კამერული სიმღერა |
| ნინო ჩაიძე | ასოცირებული პროფესორი | საკონცერტმაიტერო კლასი |
| თეა გოგოტიშვილი | ასოცირებული პროფესორი | კამერული ანსამბლის კლასი |
| *მოწვეული პერსონალი* | | |
| ქეთევან გოგოლაძე | ემერიტუსი; დოქტორი | პრაქტიკული პედაგოგიკის მეთოდური საფუძვლები (ფორტეპიანო), სამუსიკო პედაგოგიკა, მუსიკის ფსიქოლოგია. |
| ირინა ხერჟ | ემერიტუსი | ფორტეპიანოს კლასი |
| ირაკლი ევსტაფიშვილი | მოწვეული პროფესორი | სპეც. კლასი (საორკ), კამერული ანსამბლის კლასი |
| ირაკლი ჯაფარიძე | მოწვეული ასოცირებული პროფესორი | სპეც. კლასი (საორკ), კამერული ანსამბლის კლასი |
| მაია ჟღენტი | II კატეგორიის მოწვეული სპეციალისტი | პრაქტიკული პედაგოგიკის მეთოდური საფუძვლები |
| *კონცერტმაისტერები* | | |
| ნინო ნიშნიანიძე | არჩეული | აკად.სიმღერის სპეციალობაზე |
| სვეტა ურუშაძე | არჩეული | აკად.სიმღერის სპეციალობაზე |
| რუსუდან კვახაძე | არჩეული | საოპერო კლასი და სტუდია |
| მარინა ქიქავა | არჩეული | საოპერო კლასი და სტუდია |
| ნანა კვირიკაძე | არჩეული | აკად.სიმღერის სპეციალობაზე |
| ევგენია ღოღელიანი | არჩეული | აკად.სიმღერის სპეციალობაზე |
| თამარ თოფურიძე | არჩეული | საორკესტრო სპეციალობაზე |
| *ილუსტრატორები* | | |
| თემურ შალვაშვილი | ილუსტრატორი | ფორტეპიანოს სპეციალობაზე |
| მარიკა წერეთელი | ილუსტრატორი | ფორტეპიანოს სპეციალობაზე |
| ჩალენკო დიმიტრი | ილუსტრატორი | ფორტეპიანოს სპეციალობაზე |
| ეთერ ხალვაში | ილუსტრატორი | ფორტეპიანოს სპეციალობაზე |
| ***პროგრამის ხელმძღვანელი*** | ხათუნა მანაგაძე, პროფესორი. მობ.593311400. e-mail: khatunamanagadze@gmail.com | |
| ***სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი*** | პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას.<br>ბხსუ-სგააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის;<br>ბხსუ აღჭურვილია მუსიკალური ინსტრუმენტებით. | |

## სასწავლო პროცესების სტრუქტურა

| № | წინაპირობა | სასწავლო კურსის დასახელება | კრედიტი | საათები | | | კრედიტების განაწილება | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | საკონტ. | დამოუკ. | I | II | III | IV |
| | *სპეციალობის საერთო კურსები* | | *33* | *825* | *220* | *605* | *9* | *3* | *11* | *10* |
| M6g1 | სამუსიკო პედაგოგიკა | | 3 | 75 | 30 | 45 | | | 3 | |
| M6g2 | მუსიკის ფსიქოლოგია | | 3 | 75 | 30 | 45 | | 3 | | |
| M6g3 | პრაქტიკული პედაგოგიკის მეთოდური საფუძვლები | | 3 | 75 | 30 | 45 | | | 3 | |
| M6g4 | თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია | | 3 | 75 | 30 | 45 | 3 | | | |
| M6g5 | XX საუკუნის მუსიკის ისტორია | | 3 | 75 | 30 | 45 | 3 | | | |
| M6g6 | კვლევისა და ანალიტიკური აზროვნების საფუძვლები | | 3 | 75 | 30 | 45 | 3 | | | |
| M6g7 | სამაგისტრო ნაშრომი | | 10 | 250 | 40 | 210 | | | | 10 |
| M6g 8 | თავისუფალი შემოქმედებითი პროექტი | | 5 | 125 | | 125 | | | 5 | |
| *არჩევითი* | | | *5* | *125* | *30* | *95* | | *5* | | |
| *სპეციალობის ძირითადი კურსები ფორტეპიანო* | | | *82* | *2050* | *380* | *1670* | | | | |
| M6-1b-1 | | სპეციალობა 1 | 13 | 325 | 50 | 275 | 13 | | | |
| M6-1b1-2 | M6-1b-1 | სპეციალობა 2 | 13 | 325 | 50 | 275 | | 13 | | |
| M6-1b1-3 | M6-1b-2 | სპეციალობა 3 | 13 | 325 | 50 | 275 | | | 13 | |
| M6-1b1-4 | M6-1b-1 | სპეციალობა 4 | 13 | 325 | 50 | 275 | | | | 13 |
| M6-1b2-1 | | საკონცერტმაისტერო კლასი 1 | 5 | 125 | 30 | 95 | | 5 | | |
| M6-1b2-2 | M6-1b2-1 | საკონცერტმაისტერო კლასი 2 | 5 | 125 | 30 | 95 | | | 5 | |
| M6-1b2-3 | M6-1b2-2 | საკონცერტმაისტერო კლასი 3 | 5 | 125 | 30 | 95 | | | | 5 |
| M6-1b3-1 | | კამერული ანსამბლის კლასი 1 | 5 | 125 | 30 | 95 | | 5 | | |
| M6-1b3-2 | M6-1b3-1 | კამერული ანსამბლის კლასი 2 | 5 | 125 | 30 | 95 | | | 5 | |
| M6-1b3-3 | M6-1b3-2 | კამერული ანსამბლის კლასი 3 | 5 | 125 | 30 | 95 | | | | 5 |
| *სულ* | | | *120* | *3000* | *630* | *2370* | *22* | *31* | *34* | *33* |
| *სპეციალობის ძირითადი კურსები აკადემიური სიმღერა* | | | *82* | *2050* | *550* | *1500* | | | | |
| M6-2b1-1 | | სპეციალობა 1 | 9 | 225 | 50 | 175 | 9 | | | |
| M6-2b1-2 | M6-2b1-1 | სპეციალობა 2 | 9 | 225 | 50 | 175 | | 9 | | |
| M6-2b1-3 | M6-2b1-2 | სპეციალობა 3 | 9 | 225 | 50 | 175 | | | 9 | |
| M6-2b1-4 | M6-2b1-3 | სპეციალობა 4 | 9 | 225 | 50 | 175 | | | | 9 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| M6-2b2-1 | | კამერული სიმღერა1 | 6 | 150 | 30 | 120 | | 6 | | |
| M6-2b2-2 | M6-2b2-2 | კამერული სიმღერა 2 | 6 | 150 | 30 | 120 | | | 6 | |
| M6-2b2-3 | M6-2b2-3 | კამერული სიმღერა 3 | 6 | 150 | 30 | 120 | | | | 6 |
| M6-2b3-1 | | საოპერო სტუდია 1 | 7 | 175 | 50 | 110 | 7 | | | |
| | | მუშაობა რეჟისორთან | | | 15 | | | | | |
| M6-2b3-2 | M6-2b3-1 | საოპერო სტუდია 2 | 7 | 175 | 50 | 110 | | 7 | | |
| | | მუშაობა რეჟისორთან | | | 15 | | | | | |
| M6-2b3-3 | M6-2b3-2 | საოპერო სტუდია 3 | 7 | 175 | 50 | 110 | | | 7 | |
| | | მუშაობა რეჟისორთან | | | 15 | | | | | |
| M6-2b3-4 | M6-2b3-3 | საოპერო სტუდია 4 | 7 | 175 | 50 | 110 | | | | 7 |
| | | მუშაობა რეჟისორთან | | | 15 | | | | | |
| *სულ* | | | *120* | *3000* | *680* | *2320* | *25* | *30* | *33* | *32* |
| *სპეციალობის ძირითადი კურსები საორკესტრო* | | | *82* | *2050* | *470* | *1580* | | | | |
| M6-3b1-1 | | სპეციალობა 1 | 10 | 250 | 50 | 200 | 10 | | | |
| M6-3b1-2 | M6-3b1-1 | სპეციალობა 2 | 10 | 250 | 50 | 200 | | 10 | | |
| M6-3b1-3 | M6-3b1-2 | სპეციალობა 3 | 10 | 250 | 50 | 200 | | | 10 | |
| M6-3b1-4 | M6-3b1-3 | სპეციალობა 4 | 10 | 250 | 50 | 200 | | | | 10 |
| M6-3b2-1 | | კამერული ანსამბლის კლასი 1 | 6 | 150 | 30 | 120 | | 6 | | |
| M6-3b2-2 | M6-3b2-1 | კამერული ანსამბლის კლასი 2 | 6 | 150 | 30 | 120 | | | 6 | |
| M6-3b2-3 | M6-3b2-2 | კამერული ანსამბლის კლასი 3 | 6 | 150 | 30 | 120 | | | | 6 |
| M6-3b3-1 | | საორკესტრო კლასი 1 | 4 | 100 | 30 | 70 | 4 | | | |
| M6-3b3-2 | M6-3b3-1 | საორკესტრო კლასი 2 | 4 | 100 | 30 | 70 | | 4 | | |
| M6-3b3-3 | M6-3b3-2 | საორკესტრო კლასი 3 | 4 | 100 | 30 | 70 | | | 4 | |
| M6-3b3-4 | M6-3b3-3 | საორკესტრო კლასი 4 | 4 | 100 | 30 | 70 | | | | 4 |
| M6-3b4-1 | | კვარტეტის კლასი/სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი | 2 | 50 | 15 | 35 | 2 | | | |
| M6-3b4-2 | M6-3b4-1 | კვარტეტის კლასი/სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი | 2 | 50 | 15 | 35 | | 2 | | |
| M6-3b4-3 | M6-3b4-2 | კვარტეტის კლასი/სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი | 2 | 50 | 15 | 35 | | | 2 | |
| M6-3b4-3 | M6-3b4-3 | კვარტეტის კლასი/სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი | 2 | 50 | 15 | 35 | | | | 2 |
| *სულ* | | | *120* | *3000* | *720* | *2280* | *25* | *30* | *33* | *32* |